კვირა, 3 სექტემბერი 1917 წ.

რედაქციის ადრესი: თფილისი, ოლღას ქუჩა, № 6.

ფასი 25 კაპ.

ეშმაკი მათრახი

№ 36

1917

მიიღება ხელის-მოწერა ეროვნულ-კვირეულ იუმორისტიულ ჟურნალ „ეშმაკის მათრახზე“

ჟურნალის ფასი:

თვიურათ 1 მან., ექვსი თვით—6 მ., წლიურათ—12 მ.

მისამართი: Тифлисъ, Ольгинская, 6.
С. Таварткиладзе.

შინაარსი მე-36 ნომრისა:

ვირის ღვაწლი—ეშმაკი. მრევლი—მორიელი. გლეხი და მღვდელი—ფარაონი. გლეხის ნაამბობი—ივლიანე მერკვილაძე. ხუცესის არშიყობა—ბოგვრიტი. საღამო სინდისის თავისუფლებისა—მღალავი. ხუცესმა რომ ხუცეს ლექსი გამოუთქვა—ღურბინდი, და სხვ. სურათები: ახალი მახაროპელი. ლექცია სინდისის თავისუფლებისა. ტეხნიკის განვითარება. ძალა საკურთხისა. ძველი მცნება, და სხვ.

ახალი მახაროპელი



კოტე ფოცხვერაშვილი (საეკლესიო კომისარი).

ვირის ღვაწლი

კაცობრიობის წინაშე ხალმრთო წერილის თვალსაზრისით.

ვირის გაჩენა.

მოაზროვნე კაცობრიობა დღესაც ორ ბანაკად არის გაყოფილი „ვირის გაჩენის“ საკითხში.

ერთი ბანაკი ჯორჯ ვირენშტეინის წინამძღოლობით ამტკიცებს ადამიანთა ვირებისგან წარმოშობას*).

მეორე ბანაკი, იტალიელი ფილოსოფოსი ვირენდო კაცინის წინამძღოლობით, სრულიად წინააღმდეგ მოსაზრებას ადგია და ამტკიცებს ვირების ადამიანთაგან**) წარმოშობას.

ჩვენი რედაქცია არ ეთანხმება არც პირველსა და არც მეორე მოსაზრებას. ის უკომენტარიოთ იზიარებს ჩვენი უკვდავი მგოსნის სოლომონ ზურგიელიძის გამოკვლევას.

„ვირიც გაჩნდა ქვეყანაზე.
კაციც გაჩნდა რა თქმა უნდა
იმათ შორის მსგავსებაც და
განსხვავებაც დიდიაო.“

ამგვარათ, ღმერთმა ორივე გააჩინა ქვეყანაზე; ვირიცა და კაციც. ორივეს თავ-თავისი იდეალი აქვს ცხოვრებაში, თუმცა ხშირად მოხთება, რომ ვირის იდეალს კაცი ემსახურება, ხოლო კაცისას ვირი. კმარა, ჩვენ სოლომონის თქმულებას იოტის ოდენას ვერას დავსძენთ: „იმათ შორის მსგავსებაც და განსხვავებაც დიდიაო“.

ვირს ღმერთმა აუკრძალა უკანა ფეხებზე სიარული, ღვინის სმა, სათვალეების ტარება, ბლალოჩინობა, და არჩევნებში მონაწილეობის მიღება; აი უმთავრესი ნიშნები განსხვავებისა. სხვა ყველაფერი ხელშისაწდომია, როგორც კაცისა, აგრეთვე ვირისათვისაც. მათ შეუძლიათ ლექსების, დრამების, მოთხრობებისა თხოვნებისა და ტრაქტატების წერა; შეუძლიათ მეფობა, მინისტრობა, გუბენატორობა, კომისრობა და მეჯინიბობა.

ასე და ამგვარი პირობებით გააჩინა ღმერთმა ვირი. ისტორიას არა ერთი და ორი „ისტორიული ვირი“ ახსოვს, სწორეთ ისე, როგორც ისტორიული გმირი.

ვირით სამოთხიდან.

ვერაგი ევას ღალატის შემდეგ, განრისხებულმა ღმერთმა, როგორც მოგეხსენებათ, სამოთხიდან განაძევა თავისუფალი მოქალაქე ადამი თავისი ეშმაკეული მეუღლითურთ, მაგრამ, ვინაიდან სამოთხის გარეთ არ იყო იმ დროს არც რკინის გზა, არც საეტლო მიმოსვლა, ხოლო ქვეითად მათი გაშვება გულმა არ უქნა, (რაც უნდა იყოს მისი ნახელავები იყვენ) შეუკმაზა ვირი, შესვა ზედ*) და ისე გაისტუმრა. ეს პირველი ვირია ისტორიის ფურცლებზე გამოჩენილი. მის თვინიერ-სათნოიანობასა და შეგნებას ყველა გონიერი ადამიანი უნდა უმადლიდეს, ვინაიდგან თუ რომ მას ტლინკები შეეყარა და მხედრები დაემსხვრია, არცერთი თქვენგანი ქვეყნად არ იქნებოდა.

საუკუნოთ იყოს ხსენება შენი უპირველესო ვირთა შორის.

აბრაამის ვირი.

ვინ არ იცის, რომ ებრაელთა მამათმთავარი აბრაამი მხოლოდ და მხოლოდ ვირით დადიოდა. როგორც „აბრამის ბატკანი“, ცნობილია აგრეთვე „აბრამის ვირიც“.

ეს ლმობიერი სახელწოდება უკვე სინონიმად გადაიქცა იმ თავისუფალ მოქალაქეთათვის, რომელნიც თავისი ერთგულობით, მორჩილებით და სათნოიანობით ცოცხლად გვიხატავს ნეტარ ხსენებულ აბრამის ვირს.

პატივი და დიდება ამ ვირის სახელსაც!

ვირი პროტესტანტი.

ებრაელები გაცილებით მეტს უნდა უმადლოდენ ვირებს, ვიდრე სხვა რომელიმე ერი. მათ ვი-

*) ამ მოსაზრებას ადასტურებს საქართველოში ეგზომ ხშირად ხმარებული მოიგერებითი სიტყვა „ვირიშვილი“

**) ამის მაგალითებსაც არა ერთს და ორს ვხედავთ დღევანდელ ცხოვრებაში.

*) დღეს დამნაშავე და მაცდურ პირების ტაბუაში სვამენ და ისე გაგზავნიან ფაბრიკა ქარხნებიდან.

ლექცია სინდისის თავისუფლებისა.



კ. ფოცხვერაშვილი. ვაი თქვენდა მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ ცრუმოძღვრებითა თქვენითა აცდუნებთ მრავალთა.

მღვდლები. საჯენ უფალო მავნებელნი ჩვენნი და ბრძოდე ბრძოლათა ჩვენთა.

...და ივლტოდენ მოძულენი სიმართლისანი პირისაგან ლექტორისა მის...

რმა არა ერთხელ და ორჯერ ააცდინა განსაცდელი ამ მხრით საინტერესოა „ვალაამის ვირი“.

როგორც მოგეხსენებათ, წინასწარმეტყველი ვალაამი შებრძანდა ვირზედ და წავიდა ებრაელთა დასაწყევად. გზა და გზა ის იგონებდა წყევის სხვა და სხვა ფორმულებს, რომ საბოლოოთ გაენადგურებინა ღვთისაგან ამორჩეული ერი. მაგრამ გაგიგონებათ ანდაზა: „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო“. ჯერ კიდე შუაგზად არ იყო მისული მრისხანე წინასწარმეტყველი, რომ ვირი გაჩერდა, ფეხი აღარ მოიცვალა. ვალაამი უფრო განრისხდა და დისციპლინის აღსადგენად ვირის წინააღმდეგ

რეპრესიულ ზომებს მიმართა, არც ამ საშუალებამ გასჭრა. შემდგომ ამისა წინასწარმეტყველი მოლბაო დაფიქრდა და ვირთან მსჯელობა გამართა. კამათის დროს აშკარად გამოირკვა ვალაამის ყალბი პოზიცია ებრაელთა საკითხში. ვინაიდგან ის არ იყო ფრაქციული პროპაგანდისტი, არამედ სრულიად დამოუკიდებელი მქადაგებელი, ვალაამი მშვიდათ მივიდა ვირთან, ბოდიში მოიხადა მის წინაშე შეურაცყოფისათვის და სთხოვა გზის განგრძობა, მაგრამ არა ებრაელთა დასაწყევად, არამედ მათ დასალოცად. ვირმაც დაუჯერა და მშვიდობ ოთ და თანხმობით გასწიეს ერთი მიზნისაკენ.

ება ვირისა

მეორე ისტორიული მაგალითი და საარსებო ღვაწლი ებრაელთა ერს უკვე უსულო ვირის ყბამ დასდო. თითოეულ თქვენგანს, რომელსაც სალმრთო სჯული გულდასმით უსწავლია, თავის საკუთარ თავში დააქვს ალბათ ეგ ისტორიული ვირის ყბა.

ფილისტიმლიანები ყოველთვის აწუხებდენ და ავიწროებდენ ებრაელებს, როცა დროს უშოვნიდენ (როგორც ქურთები სომხებს) თავს ესხმოდენ და აწიოკებდენ. ერთხელ მათი თავდასხმა განსაკუთრებული სახიფათო შეიქნა და ებრაელ მებრძოლთაგან მხოლოდ სამსონ ძლიერი გადარჩა, მაგრამ ისიც უიარაღოთ. განსაცდელი ერისა და მით უმეტეს სამსონისა აშკარა იყო, მაგრამ ბედი არ ივიწყებს თავის რჩეულს. გააფთრებულმა სამსონმა თვალი მოჰკრა იქვე ახლოს უპატრონოთ მიგდებულ ვირის ყბას, დასტაცა ხელი, მრისხანეთ დაერია ფილისტიმლიანთა უთვალავ რაზმს და გაანადგურა იგი.

ვუსურვოთ, ვისაც ეს შეეფერება, გასაჭირის დროს თითო ასეთი ვირის ყბა.

ვირი სამარიტელისა.

ვირს, როგორც მოგახსენეთ ყველა დარგში მიუძღვის სამსახური და ნუ გაგიკვირდებათ, თუ აქ ძველმოქმედ ვირზეაც ჩამოვაგდო საუბარი.

მოგეხსენებათ ვერაგმა ყაჩაღებმა (დეზერტირებმა) გაძარცვეს მგზავრი და გვემილი გზად მიაგდეს. გაიარა რამოდენიმე ბურჟუამ, შეხედა, მაგრამ დახმარების ხელი არ გაუწოდა. სწორეთ ამ დროს მოდიოდა პროლეტარი მოწყალე სამარიტელი. ის მყისვე ჩამოხტა ვირიდან, აიყვანა ფრთხილად მოყვასი იგი, შესვა ვირზე და მიიყვანა სასტუმროამდე.

პირველი შეხედვით ეს კეთილი საქმე თითქო მარტო სამარიტელის ნამოქმედია, მაგრამ ვინც კარგათ ჩაუკვირდება ვითარებას, ის აშკარათ დაინახავს სინამდვილეს და მიანიჭებს „სამარიტელს სამარიტელისას, ხოლო ვირსა ვირისასა“.

ვირი იესებისა.

ვერაგმა მეფე ეროდემ განიძრახა ყრმა იესოს დატყვევება, რომ მით ძირშივე აღმოეფხვრა უფლება „მეუფისა ურიათა“. იესებმა დროიანად გაიგო ბოროტი განძრახვა მეფისა და იშოვა ვირი, შესვა ზედ ოჯახობა და გაისტუმრა ეგვიპტისაკენ. მეფის ბრძანებისამებრ „მოსრნეს ყოველნი ყრმანი“. მაგრამ იესო მათ შორის არ ერია. თუ არა მშვიდი და უწყინარი ცხოველი ვირი, რომელმაც იტვირთა წმინდა ოჯახის ეგვიპტემდე გადაყვანა, ჩვენ არ გვეყოლებოდა არა თუ მაცხოვარი ჩვენი, არც ერთი მღვდელი და მთავარ-დიაკონი.

ვირი იესოსი.

ქართველი კაცი საზოგადო სამსახურს ისე გაურბის, როგორც მართლ მორწმუნე თათარი ღორის ხორცს. მიზეზს რომ ჰკითხავ გეტყვის: —იმუშავებ, იმუშავებ, ბოლოს გაგლანძღავენ და ისე გაგისტუმრებენო.

შეიძლება ქართველ მოღვაწეებზე ეს მართალიც იყოს, მაგრამ ყველა ვირის მოღვაწეობაზე ამისი თქმა არ შეიძლება. ჩვენ რამოდენიმე საქვეყნო ღვაწლი ვირთა აღვნიშნეთ და სამართლიანობა მოითხოვდა მათი ღვაწლი ჯეროვანად დაფასებულიყო. ასეც მოხდა.

მადლიერმა ებრაელთა ერმა დააფასა მათი ღვაწლი და განსაკუთრებული პატივით შემოსა იესოს ვირი. მოგხსენდებათ, რომ დიდმარხვის მეექვსე კვირას იესო ვირით იერუსალიმს ეწვია. ხალხი დიდის ზეიმითა დააღფრთოვანებით შეეგება მას. არ გამორჩა ხალხის ყურადღებას არც ვირი იესოსი. აღფრთოვანებული ერი ბზის ტოტებსა და ყვავილებს უფენდა მას ფეხ-ქვეშ, რათა დაემტკიცებია უზომო მისდამი სიყვარული.

ბედნიერია ის, ვინც სიცოცხლეში მოიმკის მის მიერ დათესილ სიკეთეს!

ვირის ფეხი.

ისტორიამ ვირის ფეხსაც დიდება და პატივი არგუნა. ქრისტიანობის მიღების პირველ ხანებში რუსეთს ბერი ბერძენი ეწვია. სტუმრებთან მოიტანა ვირის ფეხი სათუთ ამანათად შეხვეული.

— მართლ მორწმუნენო! ესე არს ფეხი იმ ვირისა, რომლითაც ყრმა იესომ იმგზავრა ეგვიპტემდე, სასწაულით გადარჩენილი გახრწნისა და დაკარგვისაგანო. განაცხადა სტუმარმა და აუწერელი სიხარული გამოიწვია მღვდელ მთავართ შორის. ბერძენი სტუმარი ბრწყინვალეთ მიიღეს, უხვათ დააჯილდოვეს და პატივით გაისტუმრეს სამშობლოსაკენ.

სასწაულის ხმა უცებ მოედო მსოფლიოს და აი რუსეთის ახალგაზრდა ეკლესიას ახალი ბერეძნი ბერი ეწვია ვირის მეორე ფეხით. რელიგიურმა სიხარულმა იმატა. ბერი უმეტეს უხვათ დააჯილდოეს, მეტი პატივი სცეს და გაისტუმრეს საბერძნეთს.

მაგრამ არ გასულა არცა წელი ერთი, რომ გამოცხადდა ახალი ბერი ვირის მესამე ფეხით და უარესი აღტყინება გამოიწვია მართლ-მორწმუნე რუსის სამღვდელოთა შორის. საჩუქარი და პატივი მისი პირველი ორისას გადაეჭარბა

ამით გამხნევებული მეოთხე ბერძენი ბერიც ეწვია რუსეთს და თან მოიტანა მეოთხე ფეხი ნეტარ-ხსენებული ვირისა. ამან ხომ ცათამდე აიყყვანა ქრისტეს მოყვარე სამღვდელოება რუსეთის მართმადიდებელი ეკლესიისა და ხელგაშლილთ დაასაჩუქრა მან უკანასკნელი წმინდა ბერიც.

სასწაულმა ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა! გამოცხადდა ახალი ბერი და თან მოიტანა მეხუთე ფეხი ვირისა, რომლითაც ყრმა იესომ იმოგზავრა ეგვიპტედ, ხალხი განცვიფრებასა და საგონებელს მიეცა. ყველას გაუგონია:

ვირი ორფეხი, როცა იგი ადამიანის სახით გვევლინება.

ვირი სამფეხი, როცა ნამდვილ ვირს ერთი მოტეხილი აქვს.

გაუგონიათ ჩვეულებრივი, ოთხფეხი ვირიც.

მაგრამ არავინ არ იცოდა არსებობა ხუთფეხი ვირისა, და აი ამ მძიმე საკითხის გადასაწყვეტათ მოწვეულ იქმნა „საეკლესიო სობორი“, სამღვდელოთა კრებამ მსჯელობა იქონია ვირის მეხუთე ფეხის შესახებ და დაადგინა:

ვინაიდგან განრიდება იესოსი ეგვიპტედ იყო სასწაული ღვთისა. სასწაულთ მოქმედ ვირს შეიძლება ჰქონოდა მეხუთე ფეხიც“ო.

და მიიღო ძვირფასი ძღვენი ბერძნისა.

ამით რასაკვირველია არ თავდება ღვაწლი ვირთა კაცობრიობის წინაშე. მე არაფერს ვამბობ იმ დღესასწაულის შესახებ, რომელიც იმართებოდა დასავლეთ ევროპაში ვირთა პატივის საცემლად, ვინაიდან ეს შეეხება უკვე ადამიანთა მოღვაწეობას ვირთა ცხოვრებაში.

არას ვამბობ იმიტომ, რომ წერილი ისედაც გამიგრძელდა, როგორც მოთმინება ვირისა და იძულებული ვარ შევსწყვიტო.

შემდეგშიაც მოგვეცემა შემთხვევა მათ მოღვაწეობას დაუბრუნდეთ.

ეშმაკი.

ა ხუცესო.

ა ხუცესო კოკოტი, თუ ამისთვის მორბოდი.
ა ხუცესო სეფისკვერი, თუ ამისთვის გეწვის წვერი
ა ხუცესო ხაჭაპური, ტყეში გნახე გაპყაპული,
ა ხუცესო ღვინით დოქი, ისემც გაწყდეს თქვენი ქოქი!
ა ხუცესო ცხვრის თავფეხი, გნახე კისერ მონატეხი;
ა ხუცესო ქათმის მკერდი, აღდგომამდის დამიბერდი.
ა ხუცესო ცხელი ქურა, ეშმაკებმა გაფხაკურა.

ძრევლი

მამა ანთიმოზ ხურჯინაძე უკვე ის აღარ არის, რაც ამ ორმოციოდ წლის წინათ იყო. წელში მოიხარა, სახეზე მილიონი ნაოჭები დააჯდა, ძვალ-ტყავათ იქცა, ხელ-ფეხი უცახცახებს და მასთან ერთად მხედველობა მსმენელობაც უაღალატა.

ვისაც მისი ახალგაზრდობა ან უკეთ ესთქვათ კურთხევის დრო ახსოვს, ის მუ. ხარებით აღნიშნავს მის ამგვარ დაჩაჩანაკებას. ახალგაზრდობაში ანთიმოზ ხურჯინაძე თვალი იყო თავისი ძრევლისა. მასზე სიამაყით ამბობდენ ონჭიკეთის წმინდა კვრიკეს შემავალნი:

— მღვდელი თუ გეყოლება ქე უნდა გყავდეს ასეთი. სამი დღე ისე ზის ქორწილში, რომ ერთს არ წამოდგება. ნეტავ სად ასხამს ამდენ ღვინოს ეგ ოჯახ-აშენებული.

— კაცი მარტო ღვინოს რომ უძლებდეს ეგ

არაფერია. ერთი ცხვარი მისთვის ზაკუსკაა და საღილის ბოლოს ერთი ხარის ბეჭი ხომ აუცილებელ პორციათა აქვს მიღებული.

— მოგცეს ღმერთმა ლხინში,-დასძენს კიდევ სხვა — მთელ მაყრიონს ისე დააჭალაფებს, როგორც მოწამლული თევზი.

— ერთი კია, რომ მის ულუფას, რაც ხვთისგან ერგება არ შეგარჩენს და მკტარი ოჯახში რომ დაგილპეს არ წუუძლობა, თუ რაც ერგება წინდაწინ არ მიეცი.

— კიდეც იმიზა აქ ისეთი მსუყე ოჯახი.

— ცოლი ეჩხუბება ცოტას: ნუ დაძვრები სხვის ოჯახებშიო, მარა რა გააჩერებს ამფერ ტახს.

— ცხრაი უღელი რომ დაადგა ვერ დეიჭერს.

მართალია ანთიმოს ხურჯინაძეს სწავლა სრულიად არავითარი არა ჰქონია, იცოდა მხოლოდ ხელის მოწერა, მაგრამ სამღვდლო ღირსებებით დიდათ შემკული იყი. სიმღერა, მოსწრებული სიტყვაპასუხი, ლოთიანი ტოლუმბაშობა, ჭამა სმა „დიდათ შესარგი," მაყრობა, ქელეხში ჭირისუფლების გამხიარულება და ხშირად მრავალჟამიერის შემოძახებაც, საეკლესიო წესებისა და ადათების დაცვა; ერთი სიტყვით მღვდელი იყო ისეთი, როგორც შეეფერებოდა მდიდარსა და მორწმუნე ონჭიკ თის წმინდა კვირიკეს მრევლს.

მაგრამ ეს იყო ძველათ, როცა ანთიმოზ ხურჯინაძე ყვაოდა როგორც ვარდი და მის ჟირჟღილ ლალისფერ სახეს კუპრივით შავი თმისა და წვერ ულვაშის უღრანი ფარავდა. დღეს მისი შეხედვა უნებლიეთ მოგაგონებს ძველ თავადურ დარბაზს, რომელსაც თავის დროზე მრავალი ლაღი ქეიფი და მხიარული დღეები განუცდია, მაგრამ დღეს ძველ პატრონთაგან მიტოვებული ცარიელ სამარესავით სდგას გამვლელთა წინაშე მწყანე ხავსითა და ნოტიო სუნით გარემოცული.

—

— რვაასი მანათი ისე მერგება, როგორც ერთი შაური — აკანკალებული ხმით უთხრა მამა ანთიმოზმა ბუხართან ჩამომჯდარ იორდანე ბრუტაძეს. — არ უნდა დაგავიწყდეს შვილო, რომ ასეთი შენახული მრევლი მეორე არ არის მთელ ეპარხიაში.

— კი მარა, მამავ, ჩემს ოჯახსაც უნდა მიხედო. რვაასი მანათი შენ, ხუთასი ყოვლად სამღვდელოს ორასი კიდევ იმას... ქე გევიყიდე კაცი..

— „იმას" კიდევ აძლევ ორაას მანეთს? ცნობის მოყვარეობით შეეკითხა მოხუცი მღვდელი.

— რავა, არ იცი ვითამ ისე მკითხავ? ეფისკოპოსთან მე ხომ ვერ წავდგები და ვერ ჩავჩრი ხელში ქთამს. საქმეს ერთი ლამაზი ქალი მირიგებს, რომელიც ძლიერ დაახლოვებულია მასთან.

— კიდევ არ დაანება მაგ შეჩვენებულმა თავი ამ ქალების დევნას; შურით წარმოსთქვა ანთიმოზმა. — აბა რა გინდა ახლა შენ ჩემგან? ას მანეთს კიდო დაუკლებ. თუ ზარალია ის ორასი მანათი ნახევარი შენ იზარალე, ნახევარს მე. შვიდას მანეთზე ერთი შაურის მოკლება არ შემიძლია. თუ იყოს შენთვის ანგარიში ქე იყიდე, თუ არა და. მშვიდობის გზა მოგცეს ღმერთმა

— ნუ დამიქცევ ოჯახს, მამაო ანთიმოზ, ნუ დამაფსებ. ეს ბიჭი ახლა თუ არ ვაკურთხე სამუდამოთ დეიღუპება. შენც კი იცი რამდენი ხარჯი მიმიძღვის მასზე, რომელი შკოლა გინდა ის არ მივაღებიე, მარა ქე იცი არსა არ ივარგა. ახლა ჯერი ამ საქმეზე მიდგა და შენ ხელში ვარ, რასაც გინდა იმას მიზამ.

— შვილო იორდანე, ახლა ხომ არ გაგიცვნივარ. ჩემი ამბავი კი უნდა იცოდე. მართალია პენსია მაქვს, მარა ჩემს ცხოვრებას იგი არ ეყოფა. მე ჩემსას მოვითხოვ. შვიდასი მანათი ასეთი მრევლისათვის ერთ შაურს უდრის.

— ვიცი, მამაო, მრევლს არა უშავსრა..

— როგორ თუ არა უშავს რა? არა უშავს კი არა, მთელი საეკლესიოს თვალია. აქ ღმერთიც სწამთ ჯერ-ჯერობით და მღვდელ-დიაკონიც. შენ რა იცი რამდენი შრომა დამიხარჯავს, რომ ხალხს ღვთის მოყვარეობა და მღვდლის პატივისცემა არ დაეკარგა. ყველა ამისთვის შენ შვიდასი მანათის გამოღება გედიდება? ვაი დედასა, რომ სხვა მღვდელთან არა გაქვს საქმე თორემ ნახავდი რამდენ ასიანებს დაგაკაჭვლიებდა.

— კი დავკარჭლავდი რომ მქონდეს. ვისესხებ კიდეც, რომ მერე გადახდას შევიძლებდე...

— რატომ ვერ შეიძლებ. ასეთი მრევლი ხელში გექნება და შვიდას მანათზე ფიქრობ. სირცხვილია, სირცხვილი შვილო იორდანე.

— შენსავით ფხიანი რომ გამოდგებოდეს ვინ ოხერი იდარდებს, მაგრამ ამ ბიჭის იმედი არ მაქ, მთელი ვალი მე დამაწვება კისერზე.

— ნუ გეშინია, შვილო ფეხს რომ მოიკიდებს, მერე თვითონ გაიკლოვს გზას. ჩემზეც ასე ამბობდა საწყალი მამაჩემი. რა უჭირს სამაგისო, სიმღერა, ჭამა-სმა, ამყოლის აყოლა და დამყოლის დაყოლა მშვენიერათ შეუძლია, მღვდელს მეტი რა უნდა. შვიდას მანეთს დრო მოუვა ერთ თვეში იშოვნის.

— შაქარი შენს პირს, მამაო, თუ კი ასე იქნებოდეს, მარა რაღა ვქნა მაშინ, რომ...

— თუ არ ივარგებს და არ მოეწონება ადგეს და თვითონაც გაყიდოს. ათას მანათზე არავინ დაალაპარაკებს. შენ ჩემთან გიმსახურია ამდენი ხანი და გიცნობ რავარც პატიოსან პრიჩეტნიკს, თვარა სხვას ათას მენეთზე ფეხს არ მოუცვლიდი.

— ყორიფელი კაი მოგცეს ღმერთმა. ჩემთვის სიკეთე არ დაგიკლია, მარა თუ მიზამ ბარემ ქე მიქენი. შემაძლებიე რამე ფრათ.

— რა ვქნა, შვილო, საშარვლე ტილოს ხომ არ ყიდულობ კაპეიკობით რომ ვივაჭროთ. მრევლი მიგაქ ისეთი, რომლის ბადალი მეორე არაა ჩვენში. თუ მოიხმარ აგაშენებს. აქ ფიქრი და ყოყმანი ღვთის გმობას უდრის. იფიქრე და რავარც დაგიჯდეს.

— ფიქრზე არაა, მამაო და კეთილო, ჩემი საქმე. საქმე შეძლებაზეა. მიქენი იმდონი სიკეთე, რომ ანგარიშში ძროხა და ასი მანეთის ვექსილი მიიღე.

— არა, ჩემო იორდანე, საღვთო წერილში ასე სწერია: მიეცი კეისარს კეისრის და მღვდელს მისიო: თუ გინდა ის ძროხა ეფისკოპოზს მიჰგვარე, მე ჩემიც ვერ მომიხმარია და, მე როცა მომიტან ნაღდ ფულს შვიდასიანს, ჩემ მრევლს შენ შვილს გადავსცემ.

— რა ვქნა, რა წყალში ჩავარდე ახლა იმის შემოსვას კიდევ ორასი მანეთი აფერს არ უზამს.

— კაცო რა ჯანჯალი ყოფილხარ შენ. შემოსავალო რომ ამბობ, ცოლი ხომ უნდა ითხოვოს. როცა გაიგებენ ონჭიკეთის წმინდა კვირიკეს მრევლი მისი იქნებაო, ისეთ ქალს იშოვნის, რომ ათას მანათობით მზითვი და საქონელი მოჰყვება. საქმეს ანგარიში და გაზედვა სჭირია, ჩემო იორდანე, ანგარიში და გაზედვა.

— გაუზედე, გამიზედე, მარა ვერაფერი გაუგე

— აბა ბრმაი ყოფილხარ, შვილო, ხალხი ჭკუიანია, ტყვილათ კი არ დაგარქმევდენ გვარით ბრუტ ძეს, ამასაც თავისი საგანი ექნებოდა.

— კარგი, კარგი, მამაო, მოიტა ხელი. რაც დამემართება, დამემართოს. ხვალ დილით ჩაგაბარებ შენს კუთვნილს და შენი იმედი მექნება, ამ საქმეს როგორ მომიკვარაჭინებ.

— მე ჩემს დახმარებას ისედაც დაგეხმარებოდი. შენს შვილს კარგა ხანს დასჭირდება ჩემთან მოსვლა, გზის გასაკაფავათ. მე მზათა ვარ.

— მშვიდობით, მშვიდობით, მამაო ანთიმოზ.

მშვიდობით გამყოფოს წმინდა კვირიკეს მადლმა და მამა ზეციერმა მოგიმართოს ხელი.

—

კვირიკობა დღეს ონჭიკეთის წმინდა კვირიკეს ეკლესია ხალხით გაჭედილი იყო. დღეს მწირველი ბრძანდებოდა ახალი მოძღვარი სოფლისა ათანასე.

ეკლესიიდან გამოშლილი ხალხი ბებერი ცაცხვის ქვეშ ჯგუფ ჯგუფად მოგროვდა და გაცხარებული სჯა-ბაასი გაიმართა.

— ხმას არაფერი უშავს მგონია, დაიწყო ერთმა.

— ხმაი, რავა, სიმღერა და მოლხენა მაგის მოგონილია. ბანს გოდრით დგამსო რომ იტყვიან ისეა.

— ჭამაში მოგცეს ღმერთმა.

— სუფრაზე მართლა რომ ერთ მაყრათ ღირს.

— მაგან მგონი ორი სამი ღერი რუსულიც კი იცის.

— რუსული არაფერია, ვაჟო, სხვაფერ თუ ივ რგა.

რომ არ ივარგებდეს არც აკურთხებდენ, იაგერია ლაპარაკში სტაროსტი როსებპა

— თუ დახარჯავ ბიძია, აი იმასაც ქე გიკურთხებენ. გესლიანათ წარმოსთქვა კირილე კორკოტანიძემ და ხელი იქვე ახლოს მიბმულ ანთიმოზის აიღორი ჯორისაკენ გაიშვირა.

მართლა მისოფლობა კი მიაფშუკა საწყალმა იორდანემ. ცხრაასი მანეთი ეფისკოპოზს მისცა, ექვსასი ვიცხა როსკიპ დედაკაცს, ათასი ანთიმოზ ხუცესს და აკურთხა-აკურთხა აიუნიკო ყაზილარი.

— უნიქოო ჩივი, რავა პროფესორათ კი არ უნდა ბიძია. რაცხა ორი ალილუია ქე იცის და მეტი რა ეკითხება.

როცა ეკლესიიდან ანთიმოზ ხუცესი გამოვიდა, ყველამ ამოიკითხა მის სახეზე ღრმა მწუხარება დღევანდელი დღისა.

ნორიელ ..

ტექნიკის განვითარება.



ხუცესი. სამოთხეში შესვლა უფრო ძნელია, შვილო, ვიდრე აი ამ ნემსის ყუნწში გაძრომა.

...ხოლო რომელმან განიღოს ქანქარი საკმაო, განელოს მას ყუნწი იგი ნემსისა.

გლეხის ნაამბობი

მე გლეხი ვარ ბედკრული
ყოველის გზით შეკრული,
ყველას მდაბლად თავს ვუხრი,
ვკრთი, ვითარცა შვლის ნუკრი.
მოვხან. მინდორ-ველები,
არ დავზოგე ხელები..
და ღვთის სათაყვანები,
მოვიწვიე ყანები.
ვსთქვი:—ახლა კი მეშველა!
არ ვიელი ფეხ-შიშველა.
მოვასვენებ მკლავებსა
ჯაფით მონაკლავებსა;
მაგრამ ფიქრი წამიხდა!..
ცოლი ავათ გამიხდა.
ის დაწვა, ველარ ადგა...
კარზე მღვდელი მომადგა.
მითხრა: —რათა ხარ ბეცი,
ცოტა რამე მომეცი,
წიგნს ვუკითხავ გრძნეულსა
და განვკურნებ სნეულსა".
რასაც ვსთხოვ ლოცვაშიო,
მომისმენენ ცაშიო.
თუ მომცემ ხუთ კოდ პურსო,
გაგიწევ სამსახურსო.
მართლაც გავხდი მე ბეცი
და. რაც მთხოვა მივეცი.
ცოლი მყისვე მომიკვდა...
(ლოცვა ასე მომიხდა!)
რო მომიკვდა ცოლია,
მღვდელს გულთ წამოსწოლია...

ძალა საკურთხისა.

ჭირისუფალი მარინე. ღმერთო შენ გამინათლე სული მიცვალებულისა ჩემისა...

მოძღვარი. შეიწირე უფალო მსხვერპლი ესე ცხოვნებად მიცვალებულისა ამის შენისა.

ლამის ჯავრით მომკვდარა,
გიჟივით წამომდგარა
  და მომადგა კარზედა
ხელი უძევს ჯვარზედა.
ვითომ ძლიერ სწყენია
ბედის განაჩენია.
  მითხრა რა სამძიმარი,
(სახე უჩნდა მღიმარი!)
ერთი ამოიხვნეშა
და ასე მანუგეშა:
  მკვდარს რა უნდა ხომ იცი?!
საწირავი გოუცი.
თან „საკურთხიც“ სულ ადგი.
საწყალს თავისს სულადი
  არ დააკლო წლამდია
თუ ცხონება გწადია.
მე გული დამელონა.
(ეგ სიმართლე მეგონა!)
  ვსთქვი; - თუ ჭამა სჭირია
ეგ რა გასაჭირია?!
ვუზიდევი იღლია,
ჩიტის რძე არ მიკლია.
  ხილი გინდა როგორი,
ხაჭაპურის კოკორი,
ვაშლი, ბია, ატამი
თუ შემწვარი ქათამი.
  ღვინოს, სადღეგრძელოზე,
სვამდა მღვდელი გემოზე.
სულ რეჩებს აღრმავებდა
და მითი მაბრმავებდა.
— მკვდარს ეგ რაში არგია!
ან რა ვირის ბარგია

ოჯახი შევაწუხოთ
და მღვდლები შევასუქოთ?!
მაშინ ჩავხვდი საგანსა,
როცა ქათმის კაკანსა
ეზო გამოეთხოვა
და მღვდელმაც მიმატოვა
მაგრამ დარჩა გვიანა,
ისე დამაზიანა,
რომ ჩემი გასწორება
შვილიშვილს ეშორება.

ივლიანე მერკვილაძე.

მგელო დაეხსენ·

მგელო დაეხსენ მგელობას
სოფელში მოგცემთ მღვდელობას
საჭმელი მეტი გექნება
თუ შეითვისებ ხელობას.

ხუცესის არშიყობა·

(ხალხური)

ხუცესმა თავის მრევლში ერთი ქმრიანი ქალი მოინადირა და საყვარლათ გაიხადა. ყველაფერი კეთილად წავიდა, ოღონდ ქალის ქმარი აჭირვებდა საქმეს: მუდამ სახლში ჯდომით შეყვარებულთა ერთმანეთთან შეყრას ხელს უშლიდა. ხუცესის რჩევით ქალმა ავათმყოფობა მოიგონა და ქმარი შორს აქიმთან წამლის მოსატანათ გაგზავნა. ქმარს გზაში გულთ მისანი შეხვდა და უთხრა:

— შენი ცოლის ავათ გამხდომი ისევ შენ სახლშია, ეხლავ უკან დაბრუნდი და შენ დამლუპველსაც დღესვე დაიჭერო. ქმარი მაშინვე უკან დაბრუნდა, იმავ საღამოს თავის სოფელს მოაღწია. ვიდრე ქმარს ეს ამბავი შეემთხვეოდა- ქალი თავის სამზადისში იყო. საუცხოვო ვახშამი მოამზადა: ერთი დიდი დოქი წითელი ღვინო ამოიღო, მოზრდილი გოჭი შამფურზე შესწვა, კარგი დედალი ჩაახარშოვა, ერთი ცხრა ხაჭაპური დააცხო და ყველა ეს სუფრაზე დაალაგა.

მალე ხუცესიც მოვიდა, „შეყვარებულნი„ მზა სუფრას შემოუსხდენ და დიდებული სმა-ჭამა გაიმართა. ამ დროს კარზე ვიღაცამ დააკაკუნა. ქალმა „საგანგებო“ ჭუჭუტანაში გაიხედა და როცა დაინახა, რომ დაგვიანებული სტუმარი მისთვის საშიშარი არავინ იყო, ჰკითხა: რა გნებავსო. სტუმარი სოფლად მავალი მათხოვარი აღმოჩნდა და ღამის გათევა ითხოვა. მათხოვარი შემოუშვეს და სუფრის ბოლოს დასვეს. ცოტა ხნის შემდეგ ვიღაცამ, კიდევ დააკაკუნა. ქალმა კიდევ გაიხედა, მაგრამ ვაი ამ გახედვას, სტუმარი მისი ქმარი აღმოჩნდა. ქალი შეშინდა, მაგრამ მალე ხერხიც გამონახა. ხუცესი კუთხეში მიმალა, თავზე დიდი ბოყვი მიაფარა, სუფრა გადაალაგა და თვითონ კი საჩქაროთ ისევ ავადმყოფობა მოიგონა და ლოგინში ჩასწვა. მათხოვარი დასტუქსა და უთხრა, თუ რამე გაგიმხელია იცოდე კარში გაგაგდებო. ვინც აკაკუნებს ჩემი ქმარია: კარი გაუღე, შემოუშვი, მაგრამ იცოდე, რაც აქ ამბავი იყო არამც და არამც არა სთქვაო. მათხოვარიც შეჰპირდა, სახლის პატრონს კარი გაუღო და სთხოვა: საწყალი კაცი ვარ შენმა ცოლმა ღამის გასათევათ დამაყენა და ნურც შენ მეტყვი უარსო. კაცმა მათხოვარს ახედ დახედა და განცვიფრებაში მოვიდა:—ნუ თუ ეს არის ჩემი ცოლის ავათ გამხდომი გულთმისანმა რომ მითხრაო?

—ქალო, წამალი მოგიტანე.—უთხრა ქმარმა თავის ავათმყოფს,—იგი დილის უნდა დაგალევინო ახლა კი ეგებ რამე საჭმელი გაქვს სადმე შენახული, მაჭანე შიმშილით ფეხზე ველარ ვდგებიო.

—გუშინდელი ჭადია ეგერ თაროზე, იქ კი ხახვია შენახული და შენც სჭამე და მაგ სტუმარსაკ გაუზიარეო: მიუგო ქალმა.

— ქმარმა ჭადი ცეცხლს მიუფიცხა, ხახვს რჩევა დაუწყო და მათხოვარს გამოელაპარაკა.

—თუ კაცი ხარ, სანამ ეს ჭადი გათბებოდეს ერთი რამე მითხარი, სოფელში დაიარები და ახალი ამბავი გეცოდინება.

მათხოვარმა დაიწყო:

—ერთხელ ჩვენი სოფლიდან ძლიერ შორს წაველი და ერთ მთაზე რომ გადავდიოდი უცნაური წვიმა მომეწია. იწვიმა, იწვიმა, იწვიმა, მაგრამ წვიმა ისეთი წითელი იყო, როგორც აი იმ დიდ დოქში რომ წითელი ღვინო სდგას. მერმე ითოვა, ითოვა, ითოვა, სწორეთ ისეთი თეთრი, როგორც ქალბატონს რომ ხაჭაპურები აქვს შენახული. შემდეგ მოუწმინდა, გაჰყინა ყველაფერი, მიდამო ისე გაშე

ძველი მცნება ახალ დროში.

...**მოძღვარი.** ვეყვარებოდეთ ურთიერთარს, რათა ერთობით აღვიარებდეთ...

...**ქმარი.** (დიდი ლოდინის შემდეგ) ღმერთი კეთილს როგორ დამაყრიდა, თუ კი ჩემს ცოლს ამდენი ცოდვები ჰქონდა საალსარებო!..

შდა, როგორც ქალბატონს რომ გოკი აქვს ეგერ შამფურზე შემწვარი და გაშეშებული. უცებ მზე გამოვიდა ყველაფერი **დალღვა** და ჩაყვითლდა, სწორეთ ისე, ეგერ რომ ხარშო არის შენახული.

— რას ამბობ კაცო? გაკვირვებით შეეკითხა მასპინძელი მათხოვარს. — ვკონებ სტყუი, მაგისანა ამინდი ჩემ სიცოცხლეში არ გამიგონია და შენ ხარ ნახე?

— ოჰ, შეჩვენებული ვიყო და იმ ხუცის მადლი გამიწყრეს, ეგერ რომ ბოყვ ქვეშ არის, თუ-რომ ტყუილს ვამბობ! — მიუგო მათხოვარმა.

ახლა კი ეჭაშნიკა მასპინძელს გულთმისანის სიტყვები; ბოყვიდან ხუცესი გამოათრია, კარგათ მიბეგვა და სახლიდან პანღურისცემით გააგდო: ამის შემდეგ „ავადყოფიც“ ისე მორჩა, რომ ერთი წვეთი წამალი არ დასჭირებია.

— ერი ჰაა! სწორეთ ამაზე გამოუთქვამს ხალხს:

— ეს ხუცესი დავითხოვოთ, ჩვენსას ნუ დაიარება, არც გვინდა წირვა იმისი, არცა იმის ზიარება, ჩვენ რომ საყდარში გვგონია, ქალებში დაიარება.

ჩაწერილი **ჭოგვრიტის** მიერ

მზეო ამოდი.

მზეო ამოდი, ამოდი,
ნუ ეფარები გორასა.
სიმშილს გლახაკი მოუკლავს,
მღვდელი წმენდს ანაფორასა.

საღამო სინდისის თავისუფლებისა.

თფილისი, 1917 წ. 22 მაისს.

შუადღის თორმეტი საათი იყო, როდესაც საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიის დროებითი მთავრობის კრება ერთი თავისი წევრის დიდმნიშვნელოვან მოხსენებას ისმენდა: წმიდანო მამანო, იტყოდა მომხსენებელი, ვერაფერი სახეირო რამ გამოვიდა ეს ჩვენი ავტოკეფალია. იგი ჩვენთვის ძველ რეჟიმზე უარესია და თუ გვსურს საქმე გამოკეთდეს, დროა გონს მოვიდეთ. თუ რევოლიუციამ გაიმარჯვა, რაც ღმერთმა ნუ ჰქნას, პირველ ყოვლისა ჩვენ დავიღუპებით. სხვას რომ თავი დავანებოთ ჩვენი ერთად-ერთი მომხრე ბურჟუაზიაც გვღალატობს, ყველა დემოკრატიული პარტიები ეკლესიის სახელმწიფოსაგან განყოფას მოითხოვენ; ეკლესიას უნდა ჩამოერთვას ყოველივე უძრავ-მოძრავი ქონება, ფული, მიწა-წყალი, ძვირფასი ნივთები, ჯამაგირი, პენცია, ჩინი, ორდენი.—და აბა თუ ეს ყველაფერი მოხდა, განა ჩვენზე ვინმე უბედური შეიძლება წარმოვიდგინოთ?

ეკლესიაში არც უწინ დადიოდა ბევრი ვინმე, ახლა კი სულ მარტონი დავრჩით. ბევრი საეკლესიო წესი ჩვენში დიდი ხნიდან მოსპობილია, აწი კი მათი ნაშთებიც განქრებიან. მოისპობა: ზიარება, ნათვლა, მირონცხება, ჯვარის წერა, დამარხვა, პანაშვიდი, ზეთის კურთხევა, სულის მოსახსენებელი წირვები თავისი ცხვრის სათბილოებით და, ასე წარმოიდგინეთ, თვით საკურთხობიაც, წითელი ღვინით, შემწვარი ვარიებით და კოკრებით...

დარბაზში სამარისებური სასოწარკვეთილი სიჩუმე ჩამოვარდა.

...ცუდი სურათი დაგიხატეთ,—განაგრძო მომხსენებელმა,—მაგრამ ნება მიბოძეთ ხსნის გზა გიჩვენოთ და სამოქმედოთ მოგიწოდოთ. არა მგონია, რომ დღევანდელი ჩვენი უმწეო მდგომარეობა მარტო საყოველთაო ხალხის გამოფხიზლების შედეგი იყოს. რაც უნდა გათვითცნობიერდეს საერთო მასა, კიდევ დარჩება ბნელი კუთხეები, სადაც შეგვიძლია თავი შევაფაროთ და „განვძღეთ ჭამადითა“. ამას გარდა, ცდა ხომ ბედის მონახევრეა, და ისიც ვსინჯოთ, ეგებ ამ არეულობის დროს, საერთო მდგომარეობით შეწუხებული ხალხის ნაწილიც როგორმე მივიმხროთ. გადავშალოთ სახარება და იქედგან, როგორც გვჩვევია ის დავამტკიცოთ, რაც შიგ სრულიად არა სწერია აი მაგალითად, რომ ზიარების წესი, არამც თუ მოისპოს არამედ უფრო გავრცელდეს და ჩვენთვისაც ქანქარის მხრით ხელსაყრელი იყოს, გავადიდოთ ბარძიმი, გავადიდოთ საზიარებელი კოვზი, ისე რომ შიგ ნახევარი ბოთლი თუ არა, ერთი ჩაის ჭიქა მაინც ჩადიოდეს. თითო მაზიარებელს ეს პორცია მივაწოდოთ და აბა ნახეთ, ამ ღვინის საზოგადოთ აკრძალვის დროს, რაოდენი ხალხი დაგვეხვევა. ქალაქში პური არ იშოვნება, გავადიდოთ ევლოგიის პორციაც, თითო კაცს, ერთი ნამცეცის მაგიერ, სამ სამი გირვანქა სეფისკვერის ნატეხი ვაძლიოთ და ეჰე, ეკლესიაში ტევაც არ იქნება.

ქალაქში წყალის ნაკლებობაა, მას ხალხი არამც თუ ტანისსაბანათ, არამედ სასმელადაც ვეღარ შოვობს. გარდავქმნათ ნათლის წესი, ვსთქვათ რომ იგი სარწმუნოებაში ჰიგიენური მოსაზრებითაა ჩატანილი. ემბაზის მაგიერ ეკლესიებში ვანები დავდგათ და არამც თუ ბავშებს, დიდებსაც მოგვანათლინებენ თვეში ორჯერ მაინც! რომელი ახალი მთავრობა დაგვიკავებს ღვინოს ზიარებისათვის, პურს ევლოგიისათვის, წყალს ნათელისათვის და თუ ყოველივე ეს ჩვენ ხელთ იქნა ქანქარიც მოვა. ასე ამ გვარად შეგვიძლია მივეშველოთ ხალხს და მისი მდგომარეობაც ჩვენ სასარგებლოდ გამოვიყენოთ. სულის მოსახსენებელ წირვებში და საკურთხში შეიძლება დროთა ვითარებისათვის შემდეგი რეფორმა მოხდეს. ძველი წესით მხოლოდ ცხვრის დაკურთხება შეიძლებოდა. ახლა კი ხალხს თავისუფლება მივსცეთ და დავაკანონოთ, რომ ყოველივე საჭმელად შესაწყნარებელ ცხოველის მორთმევაც შესაძლებელია- ვსთქვათ რომ ამიერიდან მიცვალებულს დაეკვლის თხა და ღორიც, ხოლო სასმელად ღვინის მაგიერ მიერთმევის: არაყი, კონიაკი, ლიქორი, ლუდი, ლაღიძის წყალი და ყოველივე სითხე „რომელი ახარებს გულსა კაცისასა“.

ხოლო ამ ახალი სანოვაგის მოპოვების, მისი ერთი ასად გასაღების და ულუფის გაყოფის წესი ეხლავე შევიმუშაოთ. აი მაგალითად, საკურთხზე მოიტანეს შემწვარი გოჭი, ან მოზრდილი ბურაკი წვენით. თავი, სათბილო, გვერდები და ბეჭები მღვდელს, ქლიკები, და შიგანი მთავარ დიაკონს, წვენი მედავითნეს, ხოლო თეფში მისაწებად დანარჩენ კრებულს. (უკეთუ თეფში გაუტეხელი გადარჩეს საკურთხის მომტანს დაეთმოს) თუმცა ასეთი განაწილების პროექტი ყოველ თანასწორო-

ბის და დემოკრატიული პრინციპების წინაამღდეგი იყო, იგი ყველამ ერთხმად მიიღო, რადგან პროტესტის განმცხადებელნი, ამ შემთხვევაში ჩაგრულნიმთავარ დიაკვანი, მედავითნე. და საკურთხის მომტანი კრებაზე არ იყვნენ.

ახლა რეფორმების საღვთო წერილით დასაბუთება ისევ მომხსენებელს მიენდო. დამსწრენი დიდი კმაყოფილნი იყვნენ, მხოლოდ ზოგიერთს ახალი მოსახსენებელი სიტყვები ეხამუშებოდა. „პური და ღვინო ახარებს გულსა კაცისასა'', „ზვარაკი ქამებული'', „ვითარცა ცხოვარი კვლავ მიიგვარა'' ყველასათვის ჩვეულებრივი იყო, მაგრამ ვერ წარმოედგინათ, როგორი გასაგონი იქნებოდა: „აკურთხე უფალო თხაი ესე'', „აცხოვნე უფალო და შეიწყალე გოჭითა ამით მონა ღვთისა ესე და ესე'' „ხსნილი არაყითა, კონიაკითა, სპირტითა, ლაღიძის წყალითა''.

ზოგმა ეს ახალი ფრაზები რუსულადაც სინჯა: „ბლაგოსლოვი ღოსპოდი კოზლიკა სელო", „ვო სპასენიე დუში რაბა ტვოელო (იმია რეკ) „პრიიმი ბოჟე სვინიუ სიუ". ერთმა მთავარ დიაკონმა ეს ფრაზები ხმის ამაღლებითაც გაზომა: „დავაი, ვლადიკო პიატ კოოპეეკ ნავოტკი ი ნა გრუშევოი მიტროფანა ლაგიძეეე! ეს უკანასკნელი სიტყვები ჩინებული გამოვიდა, მაგრამ თხისა და ღორის საღვთო წერილში ჩამატება ბევრს უბრალო ხალხისათვის სახიფათოთ მიაჩნდა. კრების ეგეთი ყოყმანი ისევ მომხსენებელმა გაფანტა.

წმ. დანო მამანო, საღვთო წერილში ყველაფერი სწერია, ასე რომ შეგვიძლია თხაცა ვსთქვათ და ღორიც. „ვითარცა მწყემსან განყოს ცხოვარნი თიკანთაგან", თიკანი კი პატარა თხას ჰქვია. სახარებაში ღორიც სწერია: „და იყო მუნ კოლტი ღორთა« მაშასადამე გაუმარჯოს ცხოველოა შორისაც თავისუფლებას, გაუმარჯოს მათ სასაკურთხო თანასწორობას, გაუმარჯოს ახალ ულუფას თხას და ღორს! დარბაზში ასე რომ ვთქვათ, თხისა და ღორის ატმოსფერა დამყარდა. ყველას ელანდებოდა ან თხის ან ღორის ულუფა. აქა იქ ამ ცხოველთა ხმებიც ესმოდათ.

ცოტა ხნის შემდეგ დარბაზში უცნაური დასაპატიჟებელი ბარათი შემოიტანეს. „ამა და ამ დღეს თბილისში გაიმართება პირველათ განახლებულ ხანაში **სინდისის თავისუფლების საღამო.** კ. ფოცხვერაშვილი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „მართლმადიდებელი სარწმუნოება და დემოკრატიული რესპუბლიკა".

ამ ბარათის წაკითხვაზე მთელ კრებას გული წაუვიდა და იატაკზე ბრახვანი გახდა დარბაზი წყვდიადმა მოიცვა და კედელზე კინემატოგრაფისებური წარწერა აღიბეჭდა: „ვინაა ისეთი გულუბრყვილო, რომ ამათ სინდისის თავისუფლების საღამოზე იწვევსო".

წარწერა განქრა და ორი მღვდელიც გონს მოვიდა. მათ უცბათ ოლრები გადაიკიდეს და ლოცვა-შეჩვენებას მოჰყვენ. „დაგვიცევ ჩვენ უფალო ეშმაკისა შუადღისა და ყოველი სინდისის თავისუფლების საღამოსაგან'' ამ ლოცვამ ცოტა არ იყოს გასჭრა, წმიდა მამები ოდნავად გონს მოვიდნენ, და წამოჯდნენ.

— ვინ ეშმაკებია ეს კოტე ფოცხვერაშვილი?

— რა უბედურების ნიშანია სინდისის თავისუფლება?

— რაც უნდა იყოს გვეპატიჟებიან და უნდა წავიდეთ.

— არას დროს, განა სხვა ათას გვარი თავისუფლება არ კმარა ჩვენ შესაწუხებლად?

— ამხანაგებო და პროლეტარებო,—დაიწყო ერთმა—მე კარგათ ვიცნობ კ. ფოცხვერაშვილს, იგი მღვდლის შვილია, სასულიერო სემენარია აქვს დიმთავრებული და ჩვენ საწინააღმდეგოს იგი არაფერს იტყვის—წინააღმდეგ, მე ღრმად დარწმუნებული ვარ, იგი ჩვენი პარტიის უნდა იყოს ან კიდევ რამ შეგაშინათ. ეხლა ყველაფერი უკუღმა გადატრიალდა, კეთილი ბოროტად გარდიქმნა და ბოროტი კეთილად. ეხლანდელი სიტყვა სანიდისი ალბად უსინიდისობას ნიშნავს და აი ჩვენი მოძმე და ქომაგი კ. ფოცხვერაშვილიც შველას გვიპირობს, სურს განამტკიცოს ჩვენი უსინიდისობა, წავიდეთ ყველანი, წავიდეთ.

— სცდებით, მეგობრებო, სცდებით,—წამოიჭრა მეორე,—კ. ფოცხვერაშვილმა სემინარიის მერე უნივერსიტეტიც გაათავა, იგი ხეირიანს არას გვიმზადებს და თუ თავის დაღუპვა არ გინდათ, არ გაბრიყვდეთ. სიტყვა **სინიდისი**, ჩემის აზრით, დასძინა მესამემ, ქართულ ენაში რუსულიდან უნდა იყოს გადმოტანილი და თუ ყურს ვათხოვებთ თანამედროვე ფილოლოგიას უნდა ნიშნავდეს სულ

ახვას, ვინემ ეს თქვენ გგონიათ. ,,სვინი''—და ,,დისი'' პირველი უნდა ნიშნავდეს დღევანდელ ჩვენ საკურთხის სარეფორმო ცხოველს: ,,სვინია''ს ე. ი. ღორს, ხოლო ,,დისი'' ქართულია და აიხსნება ამ გვარად: ,,დი—სი'' **დი**, ეს შემოკლებულია ,,**დი**იკურთხება'' ე. ი., **დაეკ**ურთხება. **სი**—კურთხს ანუ **სა**კურთხს. ყველა ერთად კი ასე გამოდის, კ. ფოცხვერაშვილს სურს დაამტკიცოს, რომ **სვინია**, ანუ ღორიც დაეკურთხების საკურთხს

ოცდა ხუთ მაისს, თფილისის კონსერვატორიის დარბაზი სინდის-უსინდისობის უცხო სანახაობას წარმოადგენდა. საღამოს გამწყობთ სინიდისი დავიწყებოდათ, აფიშები და განცხადებები არ გამოეშვათ, რის გამო ხალხი ბლომად ვერ დაესწრო, მაგრამ ვისაც ზეპირ გადმოცემით გაეგოთ, ისინიც კმაროდნენ. ყურადღებას იქცევდნენ გასათხოვარი და დიდი ხნის გათხოვილი ქალები.

პირველთ ეინტერესებოდათ სამოქალაქო ქორწინების წესი, ხოლო მეორეთ ძველი ცოლ-ქმრობის გათიშვის თავისუფლება.

იყვნენ ახალ მოდის ჯიბგირები, რომელთაც სურდათ დაესაბუთებიათ სინიდისის თავისუფლების მიხედვით თავიანთი ხელობა. იყვნენ ძველ რეჟიმისაგან ახალ-თაობაში გიდმოსული და გასოციალისტებული პირები, სპეკულიანტი ვაჭრები, ინტენდანტები, კონტრ-რევოლიუციის მომხრენი და სხვანი და სხვანი.

ყველაზე უფრო საუცხოო სანახაობას წარმოადგენდა სამღვდელო პირები. მათ აინტერესებდათ ახალი ულუფის გაყოფის წესები და რადგან გაეგონათ, რომ ფოცხვერაშვილი თავის ლექციებს ასაბუთებს და ხსნის შესაფერი მაგალითებით (ამ შემთხვევაში თხის და ღორის ხორცით) მოსალოდნელი ულუფისათვის აბგები ხურჯინები და ტომრებიც თან წამოეღოთ.

დაჭკრა რვა საათმა და იმისთანა თქვენ მტერს აუდიტორიამ მოხსენება გაიგონა.

კ. ფოცხვერაშვილმა ,,უსინდისოთ და უზრდელად'' უარჰყო ჩვენი ძველი დახავსებული სარწმუნოება, რომელიც მომხსენებლის აზრით იგივეა რწმენათა სფეროში, რაც სინამდვილეში იყო უკვე დამხობილი თვითმპყრობელობა. მომხსენებლის სიტყვით დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეიძლება შეწყნარებული იქმნას მხოლოდ იდეა, მსოფლიოს მამოძრავებელი ძალისა, რომელსაც ადამიანთა გამოთქმით სხვათა შორის ღვთაებაც ეწოდება. მხოლოდ ამგვარის ღვთაების და ადამიანთა ურთიერთობა-კავშირის გამოკვლევით საზღვრავს იგი განახლებულ კაცობრიობის სარწმუნოებას. მართლ მადიდებლობას და მის განმსახიერებელ კულტს მომხსენებელი სახავს, როგორც ნამდვილ ბურჟუაზიულ რელიგიას, რომელიც სრულიად არ შეეფერება დემოკრატიას და მოუწოდებს ამ უკანასკნელს ეს მონობის ბორკილებიც დაგლიჯოს... დარბაზში მხურვალე ტაში მოისმის, სამღვდელნო პირნი აღშფოთებულნი არიან, ფეხების ბრახუნით პროტესტს განაცხადებენ და იატაკზე აბგა-ხურჯინებს აფართხუნებენ. რომელიმენი დარბაზიდან სირცხვილეულ ილტვიან, ხოლო რომელიმენი ხმითა დიდითა წარმოსთქვამენ ანათემას და ექსორიასა. აქა იქ ხმები გაისმის: ,,ანტექრისტეა მაგ, წყეული''. ამ აზრს ისიც ამტკიცებს, რომ ფოცხვერაშვილი ანტექრისტესავით მაღალია. სდგება კომისია, რომელმაც დანარჩენი საანტექრისტო ნიშნები უნდა შეუმოწმოს კ. ფოცხვერაშვილს: ეშმაკისაგან ჩამომავლობა, და შუშის კანჭები. ღვდლები ლოცვად სდგებიან. გროვდება დიდი გუნდი, რომელიც ერთი მხრით ქართლ-კახურ კილოზე ხოლო მეორე მხრით დუმბაძის კილოთი საგალობოთ ემზადება. საერთო არეულობა და მწუხარებაა, ვითარცა იტყვის წერილი: ,,და იყო მუნ ღრტვინვა საშინელი, ტირილი და ღრჯენა კბილთა. მდგომარეობას გუნდის რიგრიგი გალობა სცვლის: სთქვა უგნურმან გულსა შინა თვისსა. არა არს ღმერთი, განირყვნეს და ბილწ იქმნეს საქმენი მისნი... კბილნი ცოდვილთანი შენ შემუსრნე...

ჩავამტვრიოთ, კბილები ჩავამტვრიოთ, მაგ ურწმუნოს, ქვით ჩავქოლოთ. ძირს თავისუფალი სიტყვა, გაუმარჯოს ,ძველ მოძღვრებას გაისმოდა მღვდელთა ბანაკიდან, მაგრამ რადგან კბილები ჩამტვრევა, ქვით ჩაქოლვა და საზოგადოთ სიკვდილით დასჯა ხუცესებისათვისაც აკრძალული აღმოჩნდა, ამისათვის სხვა ხმები გაისმა: სიტყვით გავამტყუნოთ, საცო დავსდვათ მაგის ცოდვილ ბაგეს, ეგრე სირცხვილეულ ვყოთ, ეგრე!

საზოგადოებამ მოითხოვა კამათი, რომელშიაც დაპირებისამებრ მონაწილეობა უნდა მიეღო: ს. აბაშელს, ა. ახმეტელაშვილს, ვ. ბურჯანაძეს, ი. გომართელს, ს. დადიანს. კ. მაყაშვილს, ჰ. მირიანაშვილს დ. ჩხეიძეს, მაგრამ რადგან ამათში ყველა სინდისით იმ ზომ დამძიმებული აღმოჩნდა, (გარდა

Ი. მირიანაშვილისა) რომ კრებაზე არავინ გამოცხადდა, კამათი შემდეგისათვის გადიდო. (სინდისისგან დამძიმებული აღმოჩნდა და კამათზე არ გამოცხადდა თვით ი. გომართელი ამბობენ ეს მარტი გომართელის ი. იმედაშვილის სიახლოვით მოუვიდაო. თანახმად ზურგიელიძის აფორიზმისა ,,ივანე იოსებთან დააბი, ან ფერს იცვლის ან სინდისსო“.)

კამათი დაინიშნა ოთხი ივნისისათვის, რომელზედაც კ. ფოცხვერაშვილის ოპონენტად ხუცების მხრით გამოვიდა დეკანოზი ვინმე. დეკანოზი ნამდვილი ხუცური კილოთი ამეტყველდა — ფიქრობდა ერთს, ბაგენი მისი კი იტყოდენ სრულიად სხვას, ხოლო ორივე ერთად კი ასე გამოდიოდა: ბურჟუაზიულ ღვთისმეტყველობის მიერ დამახინჯებულ ქრისტიანობას დიდი ღვაწლი მიუძღვის კაცობრიობის წინაშე. ამ სწავლა-მოძღვრებამ დაადასტურა ზეციური და ქვეყნიური თვითმპყრობელობა, ბატონყმობა, ომიანობა, მუშის გაყვლეფა, სიკვდილით დასჯა, თავისუფალი აზრის დევნა, და სხვა, და სხვა,.. ჯუ თვით ზეციერი სამეფო თვითმპყრობელობის ფორმაშია ჩამოყალიბებული, განა შეიძლება ქვეყნად უკეთესი რამ გამოვიგონოთ? მამა ღმერთი - ეს თვითმპყრობელი მეფე, ძე და სულიწმიდა — ესენი ტახტის მემკვიდრენი, ცხრა რიგი უფროს უმცროსი ანგელოზებისა — ეს მაღალი მოხელენი, მარიამ დედოფალი — ეს სინოდის ობერპროკიროორი, თერთმეტი მოციქული — ეს მინისტრთა საბჭო (მათში პეტრე ჯერჯერობით პრემიერად ითვლება) დანარჩენი წმიდანები — ეს წვრილი მოხელეები.

ზეცაში უკეთუოდ არსებობს ბატონ ყმობა, მაშ ქვეყნადაც ესეთივე უნდა არსებობდეს. ზეცაში მუდმივი შური და მტრობა არსებობს ღვთის და დემონის შორის, მაშ ქვეყანაზედაც ასე უნდა იყოს. თვით მაცხოვარმა ჩამოგვიტანა ქვეყანაზე ეს ლოზუნგი და გვითხრა: „ნუ გგონიათ, რომ მშვიდობიანობის დასამყარებლად მოვედი ქვეყანაზე, მშვიდობა კი არ მოვიტანე, არამედ მახვილი“ (სახ. მათეს თ. 10. მუხ. ვუ). საღვთო წერილში სწერია, ოფლითა შენითა სჭამდე პურსა შენსაო, და ჩვენც ვამბობთ, რომ ოფლის ღვრა აუცილებელი საჭიროა. ბურჟუაზიას, როგორც მსუქან პიროვნებას ოფლი თავისთავად სდის, ხოლო მშრომელ მუშამ ეს ოფლი შრომით და ჯაფით უნდა გაიდინოს.

„მუშამ უნდა იშრომოს და თავისი ნაშრომი სხვას მისცეს, თორემ იგი გამდიდრდება და წაწყდება, რადგან სახარებაში სწერია, აქლემისთვის უფრო ადვილია ნემსის ყურეში გაძრომა, ვინემ მდიდრის სამოთხეში შესვლაო. მუშამ თავის ნამუშევარ ორ მანეთში ერთი მანეთი ხაზინს უნდა მისცეს, რადგან უმისოთაც წაწყდება ვითარცა წერილარს; რომელსა აქვნდეს ორი ხელი ტანთსაცმელი (ამ შემთხვევაში ორი მანეთი) ერთი სხვას მიეცოო, ხოლო ბურჟუაზიას, რომელსა აქვს (ქონჭარი) მიეცეს და მიემატოსო, სთქვა მაცხოვარმა.

ბევრს აღარ განვაგრძობ ბურჟუაზიული ქრისტიანობა მეთაურია მრავალი სისხლის მღვრელი ომებისა, მოქალაქეობრივი სისხლის ღვრისა, ებრაელთა დევნისა, ერეტიკოსთა და თავისუფალ მოაზროვნეთა წამებისა და უმთავრესად, ეგრედ წოდებული ინკვიზიციის და აუტოდაფეებისა, რომელთა ანთებულ კოცონებზე ქრისტეს სახელით აწამეს და დასწვეს ნახევარ მილიონზე მეტი თავისუფალი მოაზროვნე ქრისტიანი დღევანდელი სამღვდელობაც ჯვარით მიუძღვის წინ საშინელ სისხლის ღვრას. ახლო წასულში ბურჟუაზიული ქრისტიანი, მღვდელები სახარებელაზედაც მიაცილებდნენ ხალხის საუკეთესო შვილებს. ასეთია საერთოდ ბურჟუაზიული ქრისტიანობა, და განა შეიძლება მისი ძირიან ფესვიანად გადაქმნა, რომელსაც ანტექრისტე ფოცხვერაშვილი მოითხოვს?

გაუმარჯოს ახალ მთავრობას და ძველ ბურჟუაზიულ სარწმუნოებას! (დამსწრეთა შარის, ბურჟუაზია ცხარე ტაშსა სცემს. ღამის თორმეტი საათია კ. ფოცხვერაშვილი საპასუხოდ ემზადება, მაგრამ დაგვიანებული დროის გამო კამათი გადაიდება)...

ᲒᲚᲐᲚᲐᲕᲘ.

ᲮᲣᲪᲔᲡᲛᲐ ᲣᲗᲮᲠᲐ

ᲮᲣᲪᲔᲡᲛᲐ ᲣᲗᲮᲠᲐ ᲮᲣᲪᲔᲡᲡᲛ:
— ᲐᲦᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲡᲛ.
— ᲬᲐᲕᲐᲚ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲘᲜᲐᲓᲘᲠᲔᲑ
ᲐᲠ ᲐᲛᲐᲢᲙᲘᲕᲔᲑᲡ ᲛᲪᲘᲚᲡᲛ.